



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030491823391719

№ 04-1020/ო

31 / მაისი / 2019 წ.

„სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, საექიმო და საექთნო პუნქტების რაოდენობისა და „ექიმის ჩანთის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 23 დეკემბრის №01-264/ო ბრძანებით დამტკიცებული დანართი №2-ით („ექიმის ჩანთა“) განსაზღვრული გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საგნებისა და „ექიმის ჩანთის“ გადაცემის წესთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის დარეგულირების შესახებ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 19 აპრილის N04-853/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, საექიმო და საექთნო პუნქტების რაოდენობისა და „ექიმის ჩანთის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 23 დეკემბრის №01-264/ო ბრძანებით დამტკიცებული დანართი №2-ით („ექიმის ჩანთა“) განსაზღვრული გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საგნებისა და „ექიმის ჩანთის“ გადაცემის წესთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის დარეგულირების შესახებ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 19 აპრილის N04-853/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის უფროსს (მისი მოვალეობის შემსრულებელს) ან მის მოადგილეს, ან/და შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის უფროსის ბრძანებით განსაზღვრულ საამისოდ უფლებამოსილ პირ(ებ)ს მიენიჭოთ წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების აქტებზე სააგენტოს სახელით ხელმოწერის უფლება და დაევალოთ:

ა) გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საგნებისა და „ექიმის ჩანთის“ შესყიდვის მიზნით გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების ფარგლებში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად მოცემულ შესაბამის მისამართზე მიწოდებული პროდუქციის რაოდენობისა და შესაბამისობის კონტროლი (საქონლის ვადებისა და მოწოდების ვადების კონტროლი, საქონლის ხარვეზის აღმოჩენა);

ბ) მიმწოდებლის მხრიდან ანგარიშსწორებისთვის საჭირო შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის მოწოდების კონტროლი;

გ) ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტისთვის გადაგზავნა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით.“

ბ) ბრძანების მეოთხე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დაევალოს სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტს (კ. ჩხარტიშვილი):

ა) ადმინისტრირება გაუწიოს ბრძანების შესრულებას;

ბ) უზრუნველყოს სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების ინფორმირება წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებულ საკითხებზე და მოთხოვნის შემთხვევაში, მათთვის კონსულტაციის გაწევა;


გ) უზრუნველყოს სააგენტოსა და გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საგნებისა და „ექიმის ჩანთის“ მიმღებ პირს/დაწესებულებას შორის გასაფორმებელი მიღება-ჩაბარების აქტის ფორმის შემუშავება და სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულებისთვის მიწოდება;

დ) უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.“

2. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი), საჯარო გაცნობის მიზნით, უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად 

თამაზ მოდებაძე